

სეიდ ჰასან თაყი-ზადე

სეიდ ჰასან თაყი-ზადე (1878-1970) ყაჯართა მმართველობის ბოლოსა და ფეჰლევიანთა დინასტიის პერიოდის ირანის გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი იყო. ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ის შევიდა, როგორც თავგამოდებული კონსტიტუციონალისტი და ირანის „ევროპული მომავლის“ მომხრე.

ბობოქარი ცხოვრება (მოგონებები)¹

თბილისი
(1905)

თბილისი საქართველოს და კავკასიის დედაქალაქი იყო და რუსი მეფისნაცვალი იქ იმყოფებოდა. აზერბაიჯანელები სტამბოლში თბილისის გავლით დადიოდნენ.

თბილისში რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩავედით. ეს ქალაქი ჩემთვის ევროპის პირველი ჭიშკარი იყო და იქ, ევროპის დარად, ყველაფერი ევროპული და რუსული იყო. თბილისში დაახლოებით ერთი თვე დავრჩი და ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლე. ძირითადად, კავკასიის განათლებულ და პროგრესულ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. თბილისში ბევრი ირანელი იყო და მათ რუსული საქონელი თბილისის გავლით ირანში დაჰქონდათ.

მოჰამად აყა შაჰტახტინსკი

ჩემთვის ყველაზე სასარგებლო იყო მოჰამად აყა შაჰტახტინსკის (Shāh Takhtīnskī)² გაცნობა. ეს სახელგანთქმული კაცი ყოველდღიური თურქული გაზეთის „შარყ-ე რუს“ („რუსული აღმოსავლეთი“)³ დამაარსებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთში (ირანსა და კავკასიაში, სტამბოლის გამოკლებით) ეს იყო პირველი ევროპული ტიპის ყოველდღიური გაზეთი, თუ არ ჩავთვლით

¹ Seyyed Hasan Taqi Zade, *Zendegi-ye tufani*, Tehran, 1372/1993, 38-43.

² მოჰამად აყა შაჰტახტინსკი (1846-1931) იყო გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი, პუბლიცისტი და აღმოსავლეთმცოდნე.

³ თურქულენოვანი გაზეთი „შარყ-ე რუს“ („რუსული აღმოსავლეთი“) მოჰამად აყა შაჰტახტინსკიმ თბილისში 1903 წელს დააარსა. გაზეთი ჯერ კვირაში სამჯერ და მერე ყოველდღე გამოდიოდა და პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურის საკითხებს აშუქებდა.

გაზეთს „თარჯომან-ე ჰაყიყათ“ („ჭეშმარიტების თარჯიმნები“)⁴, რომელიც ძველად გამოდიოდა. მოჰამად აყა ისეთი განათლებული და პროგრესული კაცი გახლდათ, რომლის ბადალიც, ჩემი აზრით, მთელ ისლამურ სამყაროში არ მოიძებნებოდა: არც ოსმალეთში, არც ირანში, არც ინდოეთში და არც სხვა მუსლიმურ ქვეყნებში.

მან განათლება ჯერ რუსეთში, მერე კი საფრანგეთსა და გერმანიაში მიიღო და ახალ ეპოქაზე ოცნებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ბუნებით ჭეშმარიტი ევროპელი იყო და მის მსგავს ადამიანს მე აღმოსავლეთში არ შევხვედრივარ. მას ორი ძმა ჰყავდა. უფროსი მოჰამად აყა იყო, შუათანა - ჯაჰანგირ აყა და უმცროსი - ბახშალი აყა. ბახშალი აყა რუსული ჯულფას საბაჟოზე მსახურობდა. ის ნამდვილი პატრიოტი და ნოვატორი გახლდათ და დიდხანს იცოცხლა. ჯაჰანგირ აყა თბილისში სომხებმა მოკლეს.

მათი მამა შეძლებული კაცი იყო. მოჰამად აყასაც ბევრი ფული ჰქონდა და მთელ ფულს ტიპოგრაფიასა და გაზეთის გამოშვებაში ხარჯავდა. იმ დროს თბილისში არაბული დამწერლობის მქონე სტამბა არ არსებობდა და მოჰამად აყას რეფორმათაგან ერთ-ერთი იყო ახალი არაბული და თურქული დამწერლობის გამოგონება, რომელსაც მან „მოჰამად აყას დამწერლობა“ უწოდა. ის თავის გაზეთში ყოველდღე თითო სვეტს ამ დამწერლობით ბეჭდავდა და ასევე გამოაქვეყნა სტატია ჩადრის გაუქმების შესახებ ... მოჰამად აყა უაღრესად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე კაცი გახლდათ და მე მას ყოველთვის უპირველეს სწავლულად ვთვლიდი.

თბილისი ძალიან მაინტერესებდა, რადგან ჩემთვის ის ევროპული მმართველობის ქალაქს წარმოადგენდა. ღამდამობით მთელი ქუჩები განათებული იყო. თეატრში ვიყავი და მუზეუმიც ვნახე. დიდებული მუზეუმი იყო და შესასვლელში დადესტნელი შეიხ შამილის ქანდაკება იდგა.

„შარყ-ე რუს“-ის თანამშრომლები

გაზეთში „შარყ-ე რუს“ შაკტახტინსკის სამი თანამშრომელი ჰყავდა. სამივე ძალიან განათლებული იყო და გაზეთი მათი ძალისხმევით გამოდიოდა. ერთ-ერთი მათგანი - ნახჭევანელი მირზა ჯალილ მოჰამად ყოლიზადე უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა გახლდათ. მეორე ომარ ფაყე ნე'მათზადე ბათუმისა და ოსმალეთის მახლობლად მდებარე ახალციხიდან (Akheskā) იყო. მესამე რაშიდ ბეგ ისმაილოვიც ძალიან წიგნიერი კაცი იყო. მირზა ჯალილი და ომარ ფაყე რაშიდ ბეგს ცუდად ექცეოდნენ და ახლოს არ იკარებდნენ და მოჰამად აყასთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ამბობდნენ: რაშიდ ბეგი რუსების თავგადაკლული თაყვანისმცემელია და არც მოჰამად აყაა თავისი ქვეყნის პატრიოტიო.

⁴ ყოველკვირეული თურქულენოვანი გაზეთი „თარჯომან-ე ჰაყიყათ“ („ჭეშმარიტების თარჯიმნები“) სტამბოლში იბეჭდებოდა და მისი ძირითადი თემები პოლიტიკური და სოციალური საკითხები იყო. გაზეთის რედაქტორები აჰმად აყაიევი და მოჰამად სალაჰ ად-დინი იყვნენ (*Fehrestegān-e Qafqāz*, 655-656).

„მოლა ნასრედინის” რედაქტორი

მირზა ჯალილი ძალიან ხუმარა კაცი იყო და თავისი სამშობლო უსაზღვროდ უყვარდა. ერთი წლის შემდეგ ის „შარყ-ე რუს“-იდან წავიდა და საკუთარი ჟურნალი „მოლა ნასრედინი“⁵ დააარსა. აღმოსავლეთში ნიჭიერებით მის ფრჩხილადაც არავინ ღირდა და მხოლოდ მოლიერს შეიძლება შევადაროთ. მისი თხოვნით, ირანიდან უამრავი იუმორისტული წიგნი, მათ შორის ქოლსუმ-ნანე⁶ გამოვუგზავნე. მე და მირზა ჯალილი დავმეგობრდით და ძალიან თბილად მექცეოდა. ომარ ფაეყიც კარგი კაცი იყო. თავად მოჰამად აყაც, მიუხედავად თავისი სიფიცხისა, ცუდი კაცი არ იყო. მე ყველასთან ვმეგობრობდი.

ბათუმი და სტამბოლი

თბილისიდან ბათუმში წავედი. ბათუმი რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომის მერე ყარსის ხელშეკრულებით რუსეთს გადაეცა⁷. ეს ლამაზი, მწვანეში ჩაფლული, აყვავებული ქალაქი ზღვის პირას მდებარეობს. ბათუმში ირანის კონსული მირზა ალი მოჰამად ხანი ძალიან თავაზიანად შემხვდა. წლების შემდეგ, მეორე მოწვევის მეჯლისში ის „ვეზირ-ზადეს” სახელით მონაწილეობდა და მინისტრის თანამდებობაც ეკავა. როგორც მერე გავიგე, ბათუმში ჩემი ყოფნის დროს მისი თანაშემწე აყა მოჰამად საედი გახლდათ.

ბათუმში გემის მოლოდინში გავჩერდი. ბათუმსა და სტამბოლს შორის ფრანგული, ავსტრიული და იტალიური გემები დადიოდნენ, ოდესსა და სტამბოლს შორის კი - რუსული გემები. ირანელი მოგზაურები მეტწილად ავსტრიულ გემ „ლოიდს” ამჯობინებდნენ.

მგზავრობა ექვსი-შვიდი დღე გაგრძელდა, რადგან გემი ყველა ნავსადგურში ჩერდებოდა და მზის ჩასვლამდე იდგა.

თეირანში დაბრუნება და პირველი მეჯლისის დეპუტატობა (1906-08)

⁵ ჟურნალი „მოლა ნასრედინი” ცნობილმა აზერბაიჯანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ჯალილ მოჰამად ყოლიზადემ (1866-1932) 1906 წელს თბილისში დააარსა და ის აქ 1914 წლამდე გამოდიოდა. გაზეთის გამოცემა 1917 წელს განახლდა, მაგრამ მალევე ცენზურის გამო დაიხურა. 1921 წელს გაზეთმა არსებობა თავრიზში, ხოლო 1922-1931 წლებში ბაქოში გააგრძელა.

⁶ „ქოლსუმ-ნანე” ანუ „ბებია ქოლსუმის ამბები” სპარსული იუმორისტული წიგნია, რომლის ავტორია ირანელი ღვთისმეტყველი აყა ჰოსეინ ხანსარი (1607-1688).

⁷ „რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომში” იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი. ყარსის ხელშეკრულება დაიდო 1918 წლის 13 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიის ახლადგასაბჭოებულ რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის, საბჭოთა რუსეთის აქტიური მონაწილეობით.

თბილისი
(1909)

თბილისში ბევრი რევოლუციონერი მეგობარი მყავდა, მათ შორის გაზეთ “მოლა ნასრედინის” დამაარსებელი და რედაქტორი ჯალილ მოჰამად ყოლიზადე. მასთან შეხვედრის მერე ბაქოში გავემგზავრე.

ბაქოში ირანელებს რევოლუციური კომიტეტი „სახალხო სოციალისტები“ ანუ „სოციალ-დემოკრატები“ ჰქონდათ და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული კავკასიის მუსლიმ რევოლუციონერებთან, რომლებიც იმ დროს მიმდინარე პირველ რუსულ რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

თბილისში დავბინავდი ერთ დიდ ჰოტელში, რომელსაც „ევროპა“⁸ ერქვა. აწ განსვენებული დეჰხოდა⁹ და მო‘აზედ ას-სალთანე (ფირ ნია) ბაქოდან თბილისში ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ, მაგრამ რადგან მე დარჩენას ვაპირებდი, დამემშვიდობნენ და ევროპაში (პარიზში) გაემგზავრნენ.

თბილისში რუსი მოხელეები მითვალთვალებდნენ და ვინც კი ჩემ სანახავად მოდიოდა, დასაკითხად პოლიციაში მიჰყავდათ. ერთ დღეს, როცა ჰოტელის ოთახიდან გამოვედი, დავინახე ჩემი ოთახის წინ ჩამომჯდარი გრძელწვერა რუსი პოლიციის ოფიცერი, რომელიც ჩემთან მომსვლელებს აკვირდებოდა. შევუტიე, აქ რას ზიხარ-მეთქი და მიპასუხა, საქმე მაქვსო. ძალიან გავბრაზდი და წავედი ავსტრიის კონსულთან, რომელიც ჩემდამი კეთილგანწყობილი იყო. მას შევჩივლე, რომ რუსი მოხელეები მაწუხებდნენ. მითხრა: “განა თქვენი კონსული არ გეხმარებათ?” ავუხსენი, რომ სამშობლოდან განდევნილი ვიყავი და ამიტომ ირანის კონსული ჩემს საქმეში არ ჩაერეოდა. საკონსულოდან აბანოში წავედი და ჰოტელში საღამოს დავბრუნდი. რუსი პოლიციელი აღარსად ჩანდა. როგორც მითხრეს, ავსტრიის კონსული ირანის კონსულთან წასულა და უთქვამს, ირანიდან ერთი პატივცემული კაცია ჩამოსული და რატომ არ ეხმარებითო. მერე ქალაქის გუბერნატორთან წასულა და ჩემთვის უშუამდგომლია, რის შემდეგაც თავი დამანებეს.

ამასობაში, აწ განსვენებული ალი ხან თაბრიზი (შემდგომში თარბიათი) თავრიზიდან გაიქცა და კავკასიაში ჩამოვიდა. ჩვენ ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით, ამ ცხოვრების თანამეწილეები, თუმცა არაფერი გვებადა. მას ძმები მირზა მოჰამად ალი ხანი და მირზა რეზა ხან თარბიათი ახლდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მე, მირზა მოჰამად ალი ხანი და ჩემი თანამგზავრი ჰოსეინ აყა ფარვიზი ევროპაში გავემგზავრებოდით. მირზა მოჰამად ალი ხანის მცირეოდენი სახსრებით და

⁸ სასტუმრო „ევროპა“ (Hôtel d'Europe) (უწინდელი „იტალია“) ფუნქციონირებდა 1864-1890 წლებში ერევანსკის მოედანზე (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, თბილისი, 2012, 31-35).

⁹ იგულისხმება ცნობილი ლექსიკოგრაფი ალი აქბარ დეჰხოდა (1879-1959), სპარსული ენის ფუნდამენტური განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი.

ბაქოში ირანელი ვაჭრის მიერ ჩემთვის მოცემული ფულით ბანკში შევიძინეთ ფასიანი ქალაქი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გადიოდა. ცოტაოდენი ფული ფარვიზსაც ჰქონდა, მაგრამ არ დაგვიმატა.

თბილისში ვენის ბილეთები ავიღეთ, მატარებელში ჩავსხედით და ევროპისკენ გავემგზავრეთ. ერთი დღის მგზავრობის შემდეგ დილით რომ გავიღვიძეთ, აღმოვაჩინეთ, რომ პატარა ჩემოდანი, რომელშიც მნიშვნელოვანი დოკუმენტები და თამასუქი გვედო, დაკარგულიყო. რამდენიც არ ვეძებეთ, კვალს ვერ მივაგენით. როგორც გაირკვა, სადგურებში, სადაც მატარებელი ჩერდება, ქურდები გრძელი ორთითებით ფანჯრებიდან ნივთებს იპარავენ და ჩვენი ჩემოდანიც ასე მოიპარეს. გამწარებულები მატარებლიდან ჩავვედით ერთ პუნქტში, რომელსაც ბესლანი (Beslän) ერქვა. გაოგნებულები ვიყავით და არ ვიცოდით, რა გვექნა. პოლიციასაც მივაკითხეთ და ჟანდარმერიასაც, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში ერთმა კაცმა გვითხრა, რომ ქალაქ ვლადიკავკაზის (Velādī Qafqāz) ახლოს ვიმყოფებოდით. რადგან ამ ქალაქში ჩვენი თავრიზელი მეგობარი ალი ზადე (ჰაჯი მოჰამად სადეყი) ცხოვრობდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გზიდან გადაგვეხვია და ჯერ ვლადიკავკაზში ჩავსულიყავით.

სტამბოლიდან თავრიზში დაბრუნება

ოდესიდან ვლადიკავკაზში წავედი და ალი ზადე მოვინახულე. მინდოდა, გავემგზავრებულიყავი თბილისი-ვლადიკავკაზის გზით, რომელიც მთებზე გადის და ძალიან ლამაზია. საუბედუროდ, ზამთარში ეს გზა ძნელად სავალი აღმოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტე, ბაქოსა და თბილისის გავლით ჯულფაში ჩავსულიყავი, თუმცა ეს გზა საშიში იყო და შეიძლებოდა, ვეცანიო.

ძირითადად რუსების მეშინოდა, რომ მიცნობდნენ და დამაკავებდნენ. ჩემი ძმა, რომელიც თბილისიდან ირანში მიდიოდა, რკინიგზის სადგურზე მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ჩემი სახელი ჰქონდა და დიდი ხნით ციხეში ჩასვეს. სადამოს ბაქო გავიარე და შუალამისას თბილისში ჩავედი. სანამ ერევნისა და ჯულფის მატარებელში ჩავჯდებოდი, იძულებული ვიყავი, რამდენიმე საათი თბილისში გამეტარებინა. თბილისის სადგურში მალულად დავჯექი და მიუხედავად იმისა, რომ გრძელი წვერი მქონდა, სახეზე გაზეთი ავიფარე. რამდენიმე ირანელმა ჩამიარა და მათი ლაპარაკი გავიგონე.

საბოლოოდ, გავემგზავრე და ჩავედი ალექსანდროპოლში, რომელსაც ირანელები გამრის ეძახიან...

(თარგმნა მარინა ალექსიძემ)

بادرشکه تا شهر نخجوان که مرکز ولایتی از ولایت تابعه ایروان بود رفتیم . در آنجا دوست یگانه متجدد تربیت شده ای داشتیم که روسی خیلی خوب می دانست. او مقاطعه کار راهسازی بود . در آن موقع در روسیه، تمام قفقازیه و ترکستان راه شوسه درست می کردند. او قسمت عمده ای را در کنترات خود داشت و از این راه پولدار شد. اسم او مشهدی قربانعلی شریف اوف (بعدها شریف زاده) و شخصی وطن پرست و تجدد خواه بود. همراهانی داشت از قبیل صدقی و غیره.

او تمام نوشتجات میرزا ملکم خان را داشت که من از وی گرفته استنساخ کردم.

ایروان

ما يك شبانه روز در خانه اومانديم . بعداً او درشکه ای برای ما تهیه دید که مارا به ایروان برساند. ایروان مرکز ایالت ارمنستان بود. دوشبانه روز راه رفتیم. راه آهن روسیه که از داخل آن کشور می آمد از تفلیس گذشته تاجائی که « آق-اسقا » بود و از آنجا يك طرف به ایروان و طرف دیگر به طرف باکو می رفت . آن موقع راه آهن از آق اسقا رد شده به « اولو خانلو » رسیده بود . مامی بایستی از ایروان به آنجا رفته سوار راه آهن می شدیم. در اولو خانلو برای اولین مرتبه راه آهن را دیدیم که سوار شده از آنجا به تفلیس رفتیم.

تفلیس

تفلیس پایتخت گرجستان و پایتخت قفقازیه هم بود. نایب السلطنه روس که جانشین می گفتند آنجا بود. آذربایجانیهها برای رفتن به استانبول از آنجا می رفتند. رسیدن ما به تفلیس عوالمی داشت و مصادف بود با اشتعال جنگ روس و ژاپون. در تفلیس که برای ما اولین دروازه اروپا بود و مانند اینکه به اروپا رفتیم همه دستگاه فرنگی و روسی بود . چندی در آنجا ماندیم در حدود يك

ماه، و خیلی کسب معرفت کردیم ، از اینکه محشور می شدیم با اشخاصی که در قفقازیه تربیت شده و متجدد بودند. از ایرانیها هم آنجا زیاد بودند، زیرا مال التجاره روسی از آنجا به ایران می آمد.

محمد آقا شاه تختینسکی

از همه مفیدتر آشنائی با محمد آقا شاه تختینسکی بود که شخصیت معروف و مشهور بود که روزنامه ترکی روزانه به نام « شرق روس » تأسیس کرده بود . شاید توان گفت در مشرق (ایران و قفقازیه البته غیر از استانبول) اولین روزنامه یومیه بود مثل روزنامه های اروپائی، غیر از روزنامه « ترجمان حقیقت » منتشر در قدیم. این شخص (محمد آقا) بسیار تربیت شده و عالم و فوق العاده متجدد بود به حدی که به عقیده من نظیری در مسائل اسلامی نداشت، چه عثمانی و چه ایران و هندوستان و همه ممالک اسلامی.

وی اول در روسیه، بعد از آن در فرانسه و آلمان تربیت شده و عقاید عصر جدید را داشت. می توان گفت بعینه مثل يك فرنگی بود. مانند او را در مشرق من ندیدم. آنها سه برادر بودند. برادر بزرگ همان محمد آقا، بعد از او جهانگیر آقا، بعد از او بخشعلی آقا بود. بخشعلی آقا در گمرک جلفا از طرف روسها مأمور بود. او از وطن پرستان و تجدد دوستان حقیقی بود و تمام آنها بعد زنده بود . جهانگیر آقا را در تفلیس ارمنیها کشتند .

اینها پدرشان در محل متحول بود. بنابراین محمد آقا خیلی پولدار بود و تمام پول خود را در راه مطبعه و روزنامه صرف کرد . آن وقت در آنجا چاپخانه اسلامی و خطوط عربی نبود. روزنامه کمراو را شکست. از جمله اصلاحاتش این بود که خطی جدید برای عربی و عثمانی و ترکی اختراع کرد. اسمش را «محمد آقاخطی» گذاشته بود و هر روز يك ستون در آنجا به آن خط می گذاشت و مقاله

راجع به رفع حجاب نیز نوشت ... او خیلی متجدد و دانا بود. من همیشه درباره او می گفتم او اولین عالم است.

تفلیس برای ما خیلی جالب بود. شبها غرق در نور بود و برای ما حکم اروپا را داشت. آنجا بدتئاتر رفتیم. موزه دیدیم. موزه معتبری داشت که در ورودی آن مجسمه شیخ شامل داغستانی گذاشته شده بود.

همکاران شرق روس

شاه تختینسکی در روزنامه «شرق روس» سه نفر همکار داشت. آنها هم خیلی درس خوانده و تربیت شده بودند و روزنامه به کمک آنها نوشته می شد. یکی از آنها میرزا جلیل محمدقلی زاده از اهالی نخجوان، خیلی جوان با ذوق بود. یکی دیگر عمر فائق نعمان زاده از آن طرف قفقاز با طوم «اخسکا» نزدیکی عثمانی بود. شخص سوم رشید بیگک اسمعیل اوف که خیلی تربیت شده بود. دو نفر اولی با او بد بودند و او را زیاد به خود راه نمی دادند. با خود محمد آقا هم میانه خوبی نداشتند. آنها می گفتند رشید بیگک سخت روس پرست است و محمد آقا هم چندان ملت پرست نیست.

مدیر ملا نصرالدین

میرزا جلیل آدم خیلی شوخی بود و به حد افراط وطن پرست. او همان شخصی بود که بعدها شاید یک سال بعد از «شرق روس» خارج شده روزنامه ملا نصرالدین را بنا کرد. در خوش ذوقی هیچکس در شرق به پای او نمی رسید و شاید بشود او را با «مولیر» مقایسه کرد. بنا به خواسسته او من از ایران کتابهای فکاهی زیاد از قبیل کلثوم نه نه و غیره به سوی فرستادم. ما با میرزا جلیل خیلی رفیق شدیم و خیلی با ما مهربانی کردند. عمر فائق هم خوب بود. خود محمد آقا هم گرچه آدم تند خوئی

بود ولی بد نبود. ما با اینها محشور بودیم.*

* روایت دیگری که در نوار گفته به این صورت است: من دوستی داشتم در اداره روزنامه «شرق روس»، محمد آقا، عالم روشن ضمیری بود در مشرق زمین. مثل او در صد سال اخیر پیدا نشده بود. چیزهای تازه را ترویج می کرد. در آلمان و فرانسه تحصیل کرده بود. پدرش پولدار بود. برادرش جهانگیر آقا را از منیها کشتند. از منیها ترور می کردند. از خودشان هم می کشتند. تمام کارهایشان را بوسیله پول می خواستند انجام بدهند. صد هزار تومان در یک روز می دادند بعد به جان هم می افتادند. مسلمانها هم بدخیال افتادند با هم باشند. همین رویه را پیش گرفتند. از منیها جهانگیر آقا را کشتند. مسلمانها هم از منیها را کشتند. در پشت کوه «زنگزور» از منیها ریختند خیلی از مسلمانها را کشتند. بعد مسلمانها تدارک می دیدند می رفتند دهات پشتکوه. مسلمانها بی اندازه به هیجان می آمدند. می گفتند حالا که کشتن است ما هم می کشیم.

من با یکی از رفقایم که در این موقع به آن طرف رودارس مسافرتی کردیم در قیوه خانه ای بود. دیدیم صحبت تفنگ و موزر و اینها در میان است. دولت روس هم مانع نبود. خودش هم فتنه می کرد.

میرزا جلیل محمدقلی زاده که اول در همان روزنامه شرق روس کار می کرد بعدها خود روزنامه ملا نصرالدین را بنا نمود. رومانهای خیلی خیلی شیرینی نوشت. او تولستوی این طرف مسلمانها بود. یکی از آنها «پستاقوطی سی» بود که میان روسها و غیره معروف شده بود. او نظیر مولیر شده بود. او عاشق تولستوی بود.

تولستوی

تولستوی دهاتش را تقسیم کرده داده بود به دهاتیها و خودش در دهی که می نشست آنرا هم نصف کرده، نصفش را داده بود به دهاتیها. در نصف دیگر خود زراعت می کرد. نصف روز را در زراعت خود کار می کرد نصف دیگر را به زارعین دیگر کمک می نمود. او عقیده داشت شر را با شرمی شود دفع کرد. کسی که آدم کشت نمی شود او را کشت. از تمام نقاط دنیا، از امریکا و غیره، به دیدنش می رفتند. یکی از آنها آمد رفت به آن ده او را

باطوم و استانبول

از تفلیس به باطوم رفتیم. باطوم که در آخرین جنگ روس و عثمانی با قارص واردهان به تصرف روسها در آمده بود جای با صفا و سبزی و خرم در کنار

→

ببیند. به او گفت این وضع که شما می گوئید چطور در دنیا پیش می رود. اگر کسی رفت مادر کسی را بکشد جانش را نگیرد، بشیند تماشا کند. گفت بلی اگر بخواهد او را در عوض بکشد خود او هم قاتل است. شعاع السلطنه آمده بود آنجا. رفت به مسکو می خواست همه جای دنیا را ببیند. رفت به همان ده که تولستوی را ببیند.

میرزا جلیل هم عاشقش بود. رفت به مسکو. می خواست برود به همان ده. که به او گفتند لازم نیست. او این روزها می آید. زیرا به محکمه عدلیه او را احضار کرده اند. يك دهاتی زده بود یکی را کشته بود. اینها را که آورده بودند به محکمه مسکو، از شهود یکی هم تراستوی بود. می آمد که شهادت بدهد. میرزا جلیل که آنجا رفت دید قضات آمدند نشستند. تولستوی هم بالباس دهاتی که يك ریسمان دوزکمرش بود و ریشی هم داشت آنجا نشسته بود. قضات خیلی متوجه بودند، دیگر دست و بالشان را جمع کرده بودند. او يك دفته که مداد در آورد یادداشت نمود متوحش شدند. وقتی نوبت به شهود رسید قاضی اول تولستوی را صدا کرد. گفت گناه با کدام بود. بلند شد گفت این مرد زد سرش را شکست ولی این هم گناه ندارد. قضات خیلی ملاحظه اش را داشتند چونکه اول نویسنده روس بود. شهادتش را که داد گفتند که شاهد دیگر لازم نیست. او را مثل امام می دانستند. شاهد دیگر را صدا نکردند.

من این را در مورد آن شخص بدجنس که سند به اسم من جعل کرده بود در هنگامی که من سفارت ایران را در لندن داشتم گفتم که مادامی که من زنده ام اگر او این ادعای واهی را بکند برویم محکمه، آنچه من بگویم در آنجا خواهند گفت صحیح است. اما ترس از اینست که اگر من از دنیا رقوم این کاعذها را در بیاورد و هر چه عیال من دارد از دستش در بیاورد. گرچه نوشته ای از او گرفتند که در آن اقرار کرد هیچ حقی از من ندارد و من آن را ضمیمه وصیت نامه خود کرده ام. او با اینکه حسن شهرتی ندارد و همه کس از او بد می گویند ولی صحبت این بود که سفیر ایران در لندن بشود. (مقصود عباس صیقل است. ا.ا.)

در ریاست. در آنجا میرزا علی محمد خان کنسول ایران در باطوم بود. به ما (میرزا محمد علی خان تربیت و اینجانب) خیلی مهربانی کرد. وی که بعدها به نام «وزیر زاده» در مجلس دوم بود دائی آقایان علی پاشا و جهان شاه و اللهیار صالح بود. در ایران وزیر هم شد. بطوری که بعدها معلوم من شد همان موقع آقای محمد ساعد نایب کنسول آنجا بود.

منتظر کشتی شدیم و بین باطوم و استانبول، کشتیهای فرانسوی اطریشی و ایتالیائی آمد و رفت می کردند و بین ادسا و استانبول کشتیهای روسی می رفتند. اغلب مسافرین ایرانی با کشتیهای اطریشی «لوید» می رفتند. شش هفت روز طول کشید تا به استانبول رسیدیم، زیرا کشتیها در هر بندری تا غروب می ماندند.

ورود به استانبول

در استانبول آن طرف که طرف آسیاست (اسکودار) فرنگی مآب نبود و قبرستان ایرانیها هم در آنجا بود. آن طرف دیگر که طرف اروپا بود يك قسمت اروپا نشین داشت که «برایک اوغلی» می گفتند. دارای راه آهن زیر زمینی و هتلها می بود.

ایرانیها در والده خانی حجره و تجارتخانه و منزل داشتند. مادر خانی (خان به معنی کاروانسرا بود) تازه ساز در طرفی که ایرانیها بودند اطاقی گرفتیم. زمان سلطان عبدالحمید بود که نفس نمی شد کشید. من شوق زیادی به کتاب داشتم. صبح از پیش کتابفروشا کتاب امانت می گرفتیم و می خواندم. کتابفروشی بود که کتابهای ممنوع داشت. اقلًا صد کتاب به من داد. از کتابهای نامق کمال و زمان و تئاتر و غیره. قریب شش ماه آنجا بودیم، پائیز و زمستان.

۱- در متن نوشته شریفی و درست نیست. لقب او شریف الذوله بود. بعدها نام

خانوادگی «بنی آدم» اختیار کرد و کاشانی بود. (ا.ا.)